ჭეშმარიტად, უზენაესმა ალლაჰმა თქვა: ვინც იმასთან მტრობს, ვინც ჩემთან ახლოსაა, მას ომს გამოვუცხადებ! ყველა იმ ქმედებიდან, რითაც ჩემი მონა ცდილობს დაახლოებას ჩემთან, ჩემთვის ყველაზე საყვარელი არის ის, რაც მე დავავალე მას სავალდებულოდ

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, უზენაესმა ალლაჰმა თქვა: ვინც იმასთან მტრობს, ვინც ჩემთან ახლოსაა, მას ომს გამოვუცხადებ! ყველა იმ ქმედებიდან, რითაც ჩემი მონა ცდილობს დაახლოებას ჩემთან, ჩემთვის ყველაზე საყვარელი არის ის, რაც მე დავავალე მას სავალდებულოდ. და ჩემი მონა განაგრძობს ჩემთან დაახლოებას დამატებითი (ნებაყოფლობითი) საქმეებით, სანამ არ შევიყვარებ მას. როდესაც შევიყვარებ მას, მე ვხდები მისი სმენა, რომლითაც ის ისმენს, მისი მხედველობა, რომლითაც ის ხედავს, მისი ხელი, რომლითაც ის იღებს, და მისი ფეხი, რომლითაც ის დადის. თუ ის მთხოვს რაიმეს აუცილებლად მივცემ მას, და თუ თავშესაფარს სთხოვს ჩემგან, აუცილებლად დავიცავ მას».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰადის ყუდსიში გვამცნო, რომ ალლაჰმა, ყოვლისშემძლემ და უზენაესმა, თქვა: ვინც ზიანს მიაყენებს ჩემთან დაახლოებულს, განარისხებს ან შეიძულებს მას, მას მე ვამცნე და გამოვუცხადე მტრობა. ვალი: არის მორწმუნე ღვთისმოშიში და რამდენადაც მონას აქვს რწმენა და ღვთისმოშიშება, იმდენად ექნება მას წილი ალლაჰის მფარველობაში. და ვერაფრით უახლოვდება მუსლიმი თავის უფალს ისე, რაც საყვარელია მისთვის, როგორც იმით, რაც ალლაჰმა მას ვალდებულებად დააკისრა სავალდებულო საქმეების შესრულებითა და აკრძალულთა მიტოვებით. და მუსლიმი განაგრძობს უფალთან დაახლოვებას ნებაყოფლობით საქმეებთან ერთად სავალდებულოს შესრულებით, სანამ არ მიიღებს ალლაჰის სიყვარულს. როცა ალლაჰი შეიყვარებს მას, ალლაჰი იქნება მისი მიმმართველი ამ ოთხი ორგანოთი: ალლაჰი მართავს მას მის სმენაში ისე, რომ ის აღარ ისმენს არაფერს, გარდა იმისა, რითაც ალლაჰია კმაყოფილი. ალლაჰი მართავს მას მის ხედვაში, ისე რომ ის აღარ უყურებს არაფერს, გარდა იმისა, რაც ალლაჰს უყვარს და კმაყოფილია. ალლაჰი მართავს მას მის ხელში, ისე რომ ის თავისი ხელით აღარ აკეთებს არაფერს, გარდა იმისა, რაც ალლაჰს აკმაყოფილებს. ალლაჰი მართავს მას მის ფეხში, ისე რომ ის არ დადის სხვა რამეზე, გარდა იმისა, რაც ალლაჰს აკმაყოფილებს, და არ ისწრაფვის არაფრისკენ, გარდა იმისა, რაც სიკეთეს მოუტანს. ამასთან, თუ ის ალლაჰს რაიმეს სთხოვს, ალლაჰი აძლევს იმას, რასაც ის ითხოვს, და მისი ვედრება მიღებული იქნება. ხოლო თუ ის ალლაჰს თავის დაცვისთვის შეეფარება და დახმარებას ითხოვს, დიდებული ალლაჰი მას დაიცავს და დაიფარავს იმისგან, რისიც მას ეშინია.